# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 110

ქ. გარდაბანი 27 აპრილი 2011 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[2] მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ერთის მხრივ გარდაბნის მუნიციპალიტეტი (მის: ქალაქი გარდაბანი, დ. აღმაშენებლის №73), წარმოდგენილი საკრებულოს თავჯდომარის გიორგი ფეიქრიშვილის სახით (აქ და შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „გარდაბანპროექტი" (მის: ქ. გარდაბანი დ. აღმაშენებლის №89) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ჯიქიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"),

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

„შემსყიდველი" უკვეთავს, ხოლო "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას სოფ. ნორიოში სპორტულ დარბაზთან მისასვლელი გზის მოხრეშვის სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების შესახებ.

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 225 (ორასოცდახუთი) ლარს, დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

## 3. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ სტანდარტებს.

## 4. მომსახურების გაწევის ვადა

4.1 „მიმწოდებელი" აღნიშნულ მომსახურებას დაასრულებს 2011 წლის 16 მაისს.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მოხდება გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უნაღდო ანგარიშწორებით, შემსრულებლის მიერ წარმოდგენილ ანგარიშწორების ანგარიშზე.

6.2 ანგარიშწორება მოხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

## 7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის გადაუხადოს „მიმწოდებელს" გაწეული მომსახურების ღირებულება.

ბ) კონტროლი გაუწიოს ხელშეკრულების საგნის შესრულებას.

7.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) სათანადო ნორმების დაცვით შეასრულოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურება.

ბ) თავისდროულად და წერილობით აცნობოს „შემსყიდველს" მომსახურების გაწევისას მისაღლოდნელი შეფერხებების შესახებ.

## 8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

[illegible] წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

### 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება მოქმედებაში შედის ორივე მხარის ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

### 10. დავების გადაწყვეტა

10.1 მხარეებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი იმისათვის, რომ გადაწყვიტონ წარმოშობილი საკამათო საკითხები და გაუგებრობა ერთმანეთისადმი კეთილგანწყობის ფარგლებში, მოლაპარაკებათა საშუალებით.

10.2 თუ მხარეები ვერ გადაწყვეტენ წარმოშობილ საკამათო საკითხებს მოლაპარაკებების გზით დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

### რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

გარდაბნის მუნიციპალიტეტი
მის: ქალაქი გარდაბანი, დ. აღმაშენებლის №73
საიდენტიფიკაციო კოდი: № 226573204
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"-ს
ბ.კ. № LBRTGE22

ა/ა: № GE59LB0120137100012000

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თამჯდომარე:

გიორგი ფეიქრიშვილი
27 აპრილი 2011 წ.

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს. „გარდაბანპროექტი"
მის: ქ. გარდაბანი დ. აღმაშენებლის № 89
საიდენტიფიკაციო კოდი № 226529209
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
ბ.კ. № LBRTGE22

ა/ა: № GE53LB0113130525904000

შ.პ.ს. „გარდაბანპროექტი"-ს დირექტორი:

დავით ჯიქიძე
27 აპრილი 2011 წ.